საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის
მერია

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARIA
KHULO MUNICIPALITY
CITY HALL

წერილის ნომერი: **98-982230428**
თარიღი: **31/10/2022**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს
დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ფრიდონ ფუტკარაძეს

ბატონო ფრიდონ,

გიგზავნით ინფორმაციას, რომელიც ეხება დაცული ტერიტორიების მიმდებარე, ასევე მუნიციპალიტეტის მთელ საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობის მომართვიანობის შესახებ და მოსაზრებები შემდეგ საკითხებზე:

1.მოქმედებს თუ არა მუნიციპალური პროგრამები ალტერნატიული გათბობის საშუალებების შესახებ და არის თუ არა მომართვიანობა მოსახლეობიდან ამ საკითხზე-ხულოს მუნიციპალიტეტში გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის (arda) მიერ საპილოტე პროგრამა და მოეწყო ორი საცხოვრებელ სახლზე თბოიზოლაცია და დამონტაჟდა მზის ენერგიანი წყალგამაცხელებელი. ასევე გაეროს განვითარების პროგრამისა და ხულოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებულ „საქართველოს სოფლის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა (ENPARDIII)“ ფარგლებში განხორციელდა დაბა ხულოსა და სოფელ ქედლების საბავშვო ბაღების ენერგო ეფექტურობის გაზრდის და ენერგიის განახლებული წყაროების ტექნოლოგიების დამონტაჟება.

2.არის თუ არა მომართვიანობა მოსახლეობიდან მტაცებელი ცხოველების მიერ, შინაური ცხოველებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაზიანების თაობაზე და ამ კუთხით არსებული მდგომარეობის და საჭიროებების შესახებ- ხულოს მუნიციპალიტეტის მერიაში ხშირად რეგისტრირდება მოქალაქეების განცხადებები მტაცებელი ცხოველების (დათვი) მიერ სასოფლო სამეურდეო სავარგულების დაზიანების შესახებ მუნიციპალიტეტის მერია შემოსულ განცხადებებს აგზავნის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

3.არსებული მოცემულობიდან გამომდინარე, თქვენი მუნიციპალიტეტის საზღვრებში ტყით სარგებლობის პრობლემებთან დაკავშირებით-მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტყით სარგებლობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემიდან უნდა აღინიშნოს გამოყოფილი ტყეკაფი, რომელიც დასახლებულ პუნქტებიდან შორს არის და გაძნელებულია მისი გამოტანა.

4.მუნიციპალიტეტში არსებული გარემოს დაცვითი ღონისძიებებისა და საჭიროებების შესახებ (დასახლებულ პუნქტებში სტიქიურად წარმოშობილი ნაგავსაყრელების შესახებ)- რაც შეეხება სტიქიურად წარმოშობილ ნაგავსაყრელებს მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა

სოფელში არის არალეგარული ნაგავსაყრელები მაგრამ მუნიციპალიტეტის მერია შესაძლებლობის ფარგლებში ახორციელებს არალეგარული ნაგავსაყრელების დახურვას. მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდა კურორტ ბეშუმში, სოფელ დიდაჭრაში, სოფელ დიოკნისში და სოფელ ტაბახმელაში არსებული ნაგავსაყრელების დახურვა. 78 დასახლებულ პუნქტში განთავსებულია 400 ერთეულამდე 1,1 კბ.მ მოცულობის მქონე ნაგავშემკრები ურნები. მუნიციპალიტეტს გააჩნია ორი ერთეული სპეციალური ნაგავმზიდი, რომლითაც შეგროვილი საყოფაცხოვრებო ნარჩენი კვირაში ორჯერ ან სამჯერ გადააქვს ქალაქ ბათუმის ნაგავსაყრელზე. ნარჩენების მართვას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს მერიის მიერ შექმნილი ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალური სერვისი“.

5.სოფლის მდგრადი განვითარების მიმართულებით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მუნიციპალური პროგრამებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ღონისძიებების (აქტივობების) და პროგრამებში მოსახლეობის ჩართულობის აქტივობის ხარისხის შესახებ-აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აჭარის ა/რ სოფლის მეურნეიობის სამინისტრო ახორციელებს სხვადასხვა სახის პროგრამებს: კერძოდ საგაზაფხულო დახვნების პროგრამას, ჩითილების მოსახლეობაზე უფასოდ მიწოდების პროგრამას, სხვადასხვა ტექნიკის შეძენა თანადაფინანსებით (მოტობლიკები, რძის სეფერატორები, საწველი აპარატები და სხვა).

პატივისცემით,

ვახტანგ ბერიძე

ხულოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი